COVID-19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #116/ 24.04.2020

Covid-19-ის პანდემიის შეკავების ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგნოზით 2020 წელს მსოფლიოს ეკონომიკა 3%-ით შემცირდება, რაც აღემატება 2009 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის მაჩვენებელს (-1.73%). IMF 2020 წელს საქართველოში რეალური მშპ-ის 4%-იან შემცირებას ვარაუდობს, რაც რეგიონში ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელია. ამის მიზეზი, ძირითადად, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების მაღალი წილია ქვეყნის ეკონომიკაში[1]: 2019 წელს, მხოლოდ ამ ორი სექტორიდან სავალუტო შემოდინებებმა საქართველოს მშპ-ს 28.2%-ს შეადგინა[2]. 2020 წლის მარტში, 2019 წლის მარტთან შედარებით, ტურისტების რაოდენობა 56.1%-ით შემცირდა, ფულადი გზავნილების რაოდენობა კი 9%-ით, ხოლო მომდევნო თვეებში ამ მაჩვენებლების კიდევ უფრო მეტად შემცირებაა მოსალოდნელი. გარდა ამისა, საქართველოს ღია ეკონომიკა მოწყვლადია საგარეო ვაჭრობის შოკების მიმართაც. 2020 წლის მარტში 2019 წლის მარტთან შედარებით, სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 16%-ით, ხოლო 2020 წლის თებერვალთან შედარებით 5.8%-ით. დაწესებული შეზღუდვების შედეგად, ასევე მცირდება სამომხმარებლო მოთხოვნა, რისი კიდევ უფრო გაღრმავებაც არის ნავარაუდევი უმუშევრობის მოსალოდნელი ზრდისა და ხელფასებისა და გზავნილების შემცირების შედეგად[3].

სცენარები და პროგნოზები

პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვევლობის (uncertainty) დონე რეკორდულ მაჩვენებელს აღწევს[4], რაც თითქმის შეუძლებელს ხდის ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებას, რადგან გაურკვევლობასთანაა დაკავშირებული ისეთი ფაქტორები, როგორიცაა, ვირუსის გავრცელების მოსალოდნელი დინამიკა და მასშტაბი, ვაქცინისა და სამკურნალო პრეპარატის შექმნა, წარმოებისა და მომხმარებლების ქცევის ცვლილება, ფინანსური მდგომარეობა და ა.შ. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით[5], PMCG-მ შეადგინა საქართველოში მშპ-ს ზრდის სამი სავარაუდო სცენარი ვირუსის შეკავების ღონისძიებების სხვადასხვა ხანგრძლივობისათვის:

სცენარი I: ოპტიმისტური

ეკონომიკური აქტივობა სრულად შეჩერებულია **2.5 თვით**, ხოლო შემდგომი სამი თვით - ნაწილობრივ. შესაბამისად, ეკონომიკური აქტივობა ნაწილობრივ განახლდება 2020 წლის ივნისის დასაწყისიდან, ხოლო სრულად - 2020 წლის სექტემბრის დასაწყისიდან.

სცენარი II: ნაკლებად პესიმისტური

ეკონომიკური აქტივობა სრულად შეჩერებულია **4 თვით**, ხოლო შემდგომი სამი თვით - ნაწილობრივ. ამ სცენარის მიხედვით, ეკონომიკური აქტივობა ნაწილობრივ განახლდება 2020 წლის ივლისის შუა რიცხვებიდან, ხოლო სრულად - 2020 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან.

სცენარი III: ძალიან პესიმისტური

ეკონომიკური აქტივობა სრულად შეჩერებულია **6 თვით**, ხოლო შემდგომი სამი თვით - ნაწილობრივ. ამ სცენარის მიხედვით, ეკონომიკური აქტივობა ნაწილობრივ განახლდება 2020 წლის სექტემბრის შუა რიცხვებიდან, ხოლო სრულად - 2020 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან. სცენარი ასევე ითვალისწინებს ვირუსის შესაძლო განმეორებით ტალღებს.

განხილული სცენარების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკურ სექტორებზე შესაძლო გავლენების შეფასების შედეგად[6], შესაძლებელია, განისაზღვროს საქართველოს რეალური ეკონომიკური ზრდის ცვლილება[7]. ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, საქართველოს რეალური ეკონომიკა 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდება (-4.3%) რაც აღემატება 2009 წლის მაჩვენებელს (-3.7%). ნაკლებად პესიმისტური სცენარი ეკონომიკას 8%-ით ამცირებს, მეტად პესიმისტური კი 12.9%-ით.

საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდა 2020 წელს სცენარების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMCG-ის გამოთვლები



აღსანიშნავია, რომ სცენარების მიხედვით, ეკონომიკის ყოველკვირეული დანაკლისი იზრდება შეზღუდვების ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად: ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკა ყოველკვირეულად მშპ-ს ზრდის 0.43%-ს დაკარგავს, ნაკლებად პესიმისტური სცენარის მიხედვით - 0.47%-ს, ხოლო მეტად პესიმისტურის შემთხვევაში - 0.5%-ს.

შესაბამისად, შეზღუდვების გახანგრძლივება, არა მარტო ჯამური დანაკარგის, არამედ, ყოველი მომდევნო კვირის დანაკარგის ზრდასაც იწვევს.

განხილული სამი სცენარის მიხედვით, შესაძლებელია, იმ ხუთ-ხუთი სექტორის გამოყოფა, რომელზეც, სხვა სექტორებთან შედარებით, შოკმა უფრო დიდი (უარყოფითი / ნაკლებად უარყოფითი) გავლენა შეიძლება მოახდინოს. ხუთი ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორია: *ხელოვნება, გართობა და დასვენება; განთავსება და საკვების მიწოდება; ტრანსპორტი და დასაწყობება; საბითუმო და საცალო ვაჭრობა; სხვა სახის მომსახურება.* შემდეგ 5 სექტორზე კი მოსალოდნელი გავლენა უმნიშვნელოდ უარყოფითი ან დადებითია: *ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება; პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები; სახელმწიფო მმართველობა; სამთომოპოვებითი მრეწველობა.*





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMCG-ის გამოთვლები

ეკონომიკის გარკვეულ სექტორებზე უარყოფითი ზემოქმედების გათვალისწინებით, თითქმის გარდაუვალია ამ სექტორებში დასაქმების შემცირებაც. შესაბამისად, ჩვენი პროგნოზით, ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, დასაქმებულთა საერთო რაოდენობა საქართველოში შემცირდება 6.3%-ით, ნაკლებად პესიმისტური სცენარის მიხედვით - 9.8%-ით, ხოლო ძალიან პესიმისტური სცენარის შემთხვევაში - 14.4%-ით. უმუშევრობის სავარაუდო **საშუალო** მაჩვენებელი 2020 წელს კი ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, გაიზრდება 14.1%-მდე, ნაკლებად პესიმისტური სცენარის მიხედვით - 17.7%-მდე, ხოლო ძალიან პესიმისტური სცენარის მიხედვით - 22.7%-მდე. მოსალოდნელია, რომ პანდემიის უარყოფითი გავლენა შეცვლის დასაქმების სტრუქტურას საქართველოში და მეტად მოწყვლადს გახდის თვითდასაქმებულების ჯგუფს, რომლებიც 2019 წლის მონაცემებით სამუშაო ძალის 44%-ს შეადგენენ.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMCG-ის გამოთვლები

როდის და როგორ უნდა დასრულდეს შეზღუდვები?

ეპიდემიის გავრცელების შეზღუდვის მიზნით მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში ამოქმედდა საგანგებო ზომები, მათ შორის შეიზღუდა გადაადგილება, დაიხურა საგანმანათლებლო დაწესებულებები და სავაჭრო ობიექტები, აიკრძალა ხალხმრავალი ღონისძიებები, სავალდებულო გახდა სოციალური დისტანციის დაცვა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ღონისძიებების ეფექტის სრულყოფილი შეფასება (მათ შორის, სოციალური და ეკონომიკური) ჯერ არ მომხდარა[8], კვლევები მიუთითებს, რომ მკაცრი ზომების შედეგად, შემცირდა ვირუსის გადაცემა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი[9]. თუმცა, ვაქცინის არარსებობის პირობებში კვლავ არაპროგნოზირებადია ვირუსის გავრცელების ტენდენცია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ვირუსის გავრცელების სამ სცენარს განიხილავს (1. ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის სრულად შეწყვეტა; 2. პერიოდული ეპიდემიური ტალღები (დიდი ან პატარა); 3. მცირე დონის მუდმივი გავრცელება), რომელთაგან ყველაზე მოსალოდნელი ეპიდემიის პერიოდული ტალღების წარმოშობაა. **შესაბამისად, შეზღუდვების შემცირებისას, მნიშვნელოვანია, იმ ძირითადი პრინციპების გათვალისწინება, რაც ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებასთან ერთად, არ გაზრდის ეპიდემიის აფეთქების რისკს.**

ევროპის კომისიამ წევრი ქვეყნებისათვის შეზღუდვების შემცირების მზაობის შესაფასებლად სამი ძირითადი კრიტერიუმი შეიმუშავა: 1. დაინფიცირების რაოდენობის შემცირება და დასტაბილურება გარკვეული პერიოდის განმავლობაში; 2. ჯანდაცვის სისტემის მზაობა, უპასუხოს შეზღუდვების შემცირების შედეგად გაზრდილ დაინფიცირების შემთხვევებს; 3. მონიტორინგის ეფექტური სისტემა, რაც გულისხმობს ფართომასშტაბიან ტესტირებას, დაინფიცირებულის კონტაქტების მიკვლევის მექანიზმის არსებობას და დაინფიცირებული ადამიანების იზოლაციის საშუალებას. ასევე, **მნიშვნელოვანია, შეზღუდვების მოხსნის ეტაპობრივი გეგმის შემუშავება და ეტაპებს შორის ინტერვალის დაცვა გატარებული ღონისძიებების ვირუსის გავცელებაზე ზეგავლენის შეფასების მიზნით.**

საქართველომ წარმატებით გაართვა თავი პანდემიის პირველ გამოწვევას, რაც ვირუსის გავრცელების შეკავებას გულისხმობს - ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა მკვეთრად ჩამოუვარდება საქართველოს მეზობელი ქვეყნებისა და ევროპის მაჩვენებელს[11]. საგანგებო მდგომარეობის პირობებში შემოღებული მკაცრი შეზღუდვების შემდეგ, მნიშვნელოვანია, ვირუსთან ბრძოლის შემდეგ ეტაპზე გადასვლა, რაც შეზღუდვების შემსუბუქებას და ეტაპობრივად გაუქმებას გულისხმობს.

ქვეყანა	სულ დაინფიცირებული	გარდაცვლილი	გამოჯანმრთელებული
საქართველო	425	5	111
სომხეთი	1,523	24	659
აზერბაიჯანი	1,548	20	948
რუსეთი	62,773	555	4,891
თურქეთი	101,790	2,491	18,491

წყარო:worldometers.info, 24 აპრილის მდგომარეობით

შეზღუდვების გაუქმების ეტაპის დროულად და ეფექტურად განხორციელება გადამწყვეტია იმ ეკონომიკური და სოციალური ხარჯის შესამცირებლად, რასაც გატარებული შეზღუდვების ღონისძიებების თითოეული დღე იწვევს. 27 აპრილიდან საქართველოს მთავრობა გეგმავს შეზღუდვების ეტაპობრივ გაუქმებას. ვფიქრობთ, ამ პროცესში **გასათვალისწინებელია ევროპის იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც უკვე დაიწყეს (ან უახლოეს კვირებში გეგმავენ) საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული შეზღუდვების თანდათან შემცირება.** შეზღუდვებისგან გათავისუფლება ეტაპობრივადაა დაგეგმილი და პირველ ეტაპზე, ძირითადად, მცირე ზომის მაღაზიების და სხვა მომსახურებების დაშვებას გულისხმობს (სოციალური დისტანციის დაცვის მოთხოვნით), ხოლო შემდეგ ეტაპზე, იგეგმება საზოგადოებრივი სასწავლო დაწესებულებების გახსნა და შედარებით მასობრივი თავშეყრის ადგილების ამოქმედება. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს შეზღუდვებიდან გამოსვლის თანმიმდევრული გეგმა კრიტერიუმების გათვალისწინებით და ადაპტირებით, რომელსაც ევროპის ქვეყნები იყენებენ, რათა ეკონომიკის ამოქმედებასთან ერთად თავიდან იქნას აცილებული პანდემიის განმეორებითი ტალღის წარმოშობა.

ქვეყანა	შეზღუდვების გაუქმების ეტაპები
ჩეხეთი	**20 აპრილიდან** - გაიხსნა აგრარული ბაზრები, ავტომანქანების დილერი მაღაზიები, დაიშვა სპორტსმენების ვარჯიში ღია ცის ქვეშ, საქორწილო ცერემონიები არაუმეტეს 10 ადამიანის მონაწილეობით, ინდივიდუალური კონსულტაციები დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისათვის. **27 აპრილიდან** - გაიხსნება ის ბიზნესები, რომლებიც განლაგებულია 200 კმ. მეტრამდე ფართობზე. **11 მაისიდან** - გაიხსნება ის ბიზნესები, რომლებიც განლაგებულია 1000 კვ. მეტრამდე ფართობზე, ავტოსკოლები, ფიტნეს ცენტრები, დასაშვები გახდება საშუალო სკოლების და კონსერვატორიების დამამთავრებელი კლასების მომზადება გამოსაშვები გამოცდებისათვის, ინდივიდუალური გაკვეთილები. **25 მაისიდან** - რესტორნებს შეეძლებათ მომსახურება ღია სივრცეებში/ბაღებში/ეზოებში, გაისხსნება სილამაზის სალონები, მუზეუმები, ბოტანიკური ბაღები, დასაშვები გახდება დასწრება დაწყებით სკოლებში (მაქსიმუმ 15 მოსწავლე) ხელოვნების სკოლებში კი მაქსიმუმ 5 მოსწავლის შემადგენლობით. **8 ივნისიდან** - გაიხსნება სავაჭრო ცენტრები, 1000 კვ. მეტრზე მეტ ფართობზე განლაგებული ბიზნესები, რესტორნები, განთავსების მომსახურებები, ტაქსით მომსახურება, თეატრები, კულტურული ღონისძიებები არაუმეტეს 50 ადამიანის შემადგენლობით, საქორწილო ცერემონიები, საშუალო სკოლების გამოსაშვები გამოცდები და უნივერსიტეტის სახელმწიფო გამოცდები.
შვეიცარია	**27 აპრილიდან** - გაიხსნება ბიზნესები, რომლებშიც პირდაპირი კონტაქტების დაბალი დონეა და მარტივია უსაფრთხოების ზომების გატარება (სილამაზის სალონები, მასაჟი, ტატუს და კოსმეტიკური სტუდიები, ასევე ყვავილების, საოჯახო და ეზოს მოწყობილობების მაღაზიები, ავტომანქანების უკონტაქტო რეცხვის მომსახურება), საავადმყოფოებს უფლება მიეცემათ განაახლონ ყველა სახის საქმიანობა. **11 მაისიდან** - გაიხსნება დაწყებითი სკოლები, მაღაზიები და ბაზრები. **8 ივნისიდან** - გაიხსნება სკოლები უფროსკლასელებისათვის, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებები.
ავსტრია	**14 აპრილიდან** - გაიხსნა 400 კვ. მეტრზე ნაკლები ფართობის მქონე მაღაზიები. **1 მაისიდან** - გაიხსნება სავაჭრო ცენტრები, დიდი მაღაზიები და სილამაზის სალონები. *ძალაში რჩება პირბადის ტარება და დისტანციის დაცვის მოთხოვნა.
ნორვეგია	**20 აპრილიდან**- გაიხსნა საბავშვო ბაღები, დასაშვებია შიდა მოგზაურობა, მაგრამ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. **27 აპრილიდან** - გაიხსნება დაწყებითი სკოლები, უნივერსიტეტები და სილამაზის სალონები.
გერმანია	**20 აპრილიდან** - გაიხნა 800 კვ მეტრზე ნაკლები ფართობის მქონე მაღაზიები, ავტომობილების შოურუმები, წიგნების და ველოსიპედების მაღაზიები. **4 მაისიდან** - გაიხსნება სკოლები დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის, ბერლინში გაიხსნება სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული გალერეები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები, დასაშვები გახდება ქორწილები და ნათლობა მაქსიმუმ 20 კაცის შემადგენლობით, გაიხსნება სილამაზის სალონები.
დანია	**14 აპრილიდან** - გაიხსნა დღის მოვლის ცენტერები და დაწყებითი სკოლები. **20 აპრილიდან** - გაიხსნა სილამაზის სალონები, ტატუს სალონები და დასაშვები გახდა ფსიქოლოგის მომსახურება. *ძალაში რჩება 10 ადამიანზე მეტის შეკრების აკრძალვა.

[1]IMF, Regional Economic Outlook: Middle East and Central Asia
[2]საქართველოს ეროვნული ბანკი
[3]IMF, Regional Economic Outlook: Middle East and Central Asia
[4]https://blogs.imf.org/2020/04/04/global-uncertainty-related-to-coronavirus-at-record-high/
[5]სცენარების ნარატიული ნაწილი დაფუძნებულია McKinsey&Company-ს მიერ შემუშავებულ ცხრა სცენარზე, ხოლო ხანგრძლივობის ნაწილში გათვალისწინებულია როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ასევე IESE Business School-ის პროფესორ ნუნო ფერნანდესის ნაშრომის პროგნოზები.
[6]დაშვებები ეკონომიკურ სექტორებზე გავლენასთან დაკავშირებით გაკეთდა International Labor Organization-ის, OECD-ისა და McKinsey&Company-ს მიერ იდენტიფიცირებული დაზარალებული სექტორების ანალიზისა და ამ ანალიზის ქართულ რეალობაზე მორგების შედეგად.
[7]დაშვება: 2020 წელს რეალური ზრდის ტემპი, კრიზისის არარსებობის შემთხვევაში, ტოლია 2019 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპის.
[8]https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/331773/WHO-2019-nCoV-Adjusting_PH_measures-2020.1-eng.pdf
[9]მაგალითად, European Center for Disease Prevention and Control (ECDC), "Coronavirus disease 2019 (COVID-19) in the EU/EEA and the UK – eighth update", 8 April 2020.
[10]European Commission, Joint European Roadmap Towards Lifting COVID-19 Containment Measures, Europe. April, 2020.
[11]www.worldometers.info

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2015	2016	2017	2018	2019
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	14 948.2	15 141.7	16 248.5	17 596.6	17 736.6*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 012.6	4 062.1	4 358.5	4 722.0	4 763.5*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	3%	2.9%	4.8%	4.8%	5.1%*
ინფლაცია	4.0%	2.1%	6.0%	2.6%	4.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7*
უმუშევრობის დონე (%)	14.1%	14.0%	13.9%	12.7%	11.6%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4 314.9	4 515.7	5 177.4	5 434	5 741
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	20.2%	21.0%	22.3%	20.5%	-

*წინასწარი მონაცემები